

ერთობლივი კვლევითი აქტივობები და
თანამშრომლობა საერთაშორისო
პარტნიორებთან

თბილისი
გთუნი



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ერთობლივი კვლევითი აქტივობები და თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან

მისიის განაცხადის თანახმად, გთუნი წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტს, თუმცა სამეცნიერო საქმიანობის კულტურის ჩამოყალიბება და აქტივობების ინტენსიფიკაცია გთუნის საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპექტია და ამ საქმიანობას გეგმავს საკუთარი სტატუსის, ადამიანური რესურსების და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა არ წარმოადგენს გთუნის დამოუკიდებელ/პრიორიტეტულ სტრატეგიულ მიზანს, სამეცნიერო აქტივობების ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით, ბოლო წლებში გთუნიმ გასწია მნიშვნელოვანი სამუშაოები: შეიმუშავა გთუნის „სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზებისა და მართვის წესი“, რაც შემდგომში დაზუსტდა, შეივსო და ჩამოყალიბდა როგორც „სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია“, განსაზღვრა სამეცნიერო საქმიანობის სახეები, სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის მეთოდი, სამეცნიერო საქმიანობის სუბიექტები და მათი საშუალო დატვირთვა, სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის წარდგენის წესი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტულობისა და ხარისხის შეფასების წესი, შეფასების ინდიკატორები და კრიტერიუმები (*შენიშვნა*: აღნიშნული წესით შეფასება შეეხება 2019 წელს განხორციელებულ ნაშრომებს).

2019-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მე-3-ე სტრატეგიულ მიზანში, რაც გულისხმობს სამეცნიერო საქმიანობის განუყოფლობას საგანმანათლებლო პროცესისაგან და ფორმულირებულია შემდეგნაირად: „საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ზრდა და ინტერნაციონალიზაცია“, ჩამოყალიბებულია განსახორციელებელი ამოცანები, რომელთა შორის ერთ-ერთია „საერთაშორისო სამეცნიერო კავშირების და ერთობლივი კვლევების შესაძლებლობების განვითარება“ (ამოცანა 10);

შესაბამისად, მომავალი 7 წლის განმავლობაში ერთობლივი კვლევითი აქტივობებისა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის მიზნის მისაღწევად გთუნის დაგეგმილი აქვს რიგი ამოცანის განხორციელება, რომელთა შორისაა:

1. რელევანტური პარტნიორების შერჩევა, განაცხადების მომზადება ან კონსორციუმში ჩართვა;
2. არსებულ პარტნიორებთან თანამშრომლობის აქტუალიზაცია;
3. უცხოელი სპეციალისტების მოწვევის მიზნობრიობის/პრიორიტეტების (საგანმანათლებლო საფეხური, პრიორიტეტი, სპეციალობა, მოწვევის ვადები, პირობები და სხვა) მექანიზმების დაგეგმვა/დაზუსტება;
4. აქტივობების განხორციელება საერთაშორისო სამეცნიერო პროფილური კავშირების დასამყარებლად და თანამშრომლობის მინიმუმ 3 მემორანდუმის გაფორმება;

5. საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ერთობლივი კვლევის განხორციელების შესაძლებლობების შექმნა და ადმინისტრაციულ-ფინანსური მხარდაჭერა ერთობლივი კვლევების განსახორციელებლად.

აღნიშნული ამოცანების განხორციელება განიხილება სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში, რაც წარმოადგენს გთუნის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ასპექტს. სამეცნიერო მიმართულებით დაგეგმილი ინტერნაციონალიზაციის პროცესი მოიცავს მოკლევადიან და გრძელვადიან ამოცანებს, კერძოდ:

სამეცნიერო მიმართულებით განსახორციელებელი ინტერნაციონალიზაციის მოკლევადიანი ამოცანებია:

- მეცნიერების თანამედროვე, საერთაშორისო მიღწევების, ტრენდების, ხედვების შესახებ ინფორმაციის გაზიარების ღონისძიებების სისტემატური გატარება;
- საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაფართოება-გაღრმავება კვლევითი პროექტების ფარგლებში;
- საერთაშორისო კონფერენციებში, სტაჟირებებში, სემინარებში გთუნის აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებისთვის პარტნიორების მოძიებაზე ზრუნვა;

სამეცნიერო მიმართულებით განსახორციელებელი ინტერნაციონალიზაციის გრძელვადიანი ამოცანებია:

- უცხოელი, მეცნიერების, ექსპერტების მეტი ჩართვის უზრუნველყოფა გთუნის სამეცნიერო საქმიანობაში;
- ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;
- სამეცნიერო პუბლიკაციების, ელექტრონული ჟურნალებისა და მონაცემთა ბაზების გაზრდა და მეტი ხელმისაწვდომობა;
- ციტირების ინდექსისა და იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებლების ზრდა.

ერთობლივი კვლევითი აქტივობებისა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის წინაპირობები

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა საერთაშორისო აქტივობების თვალსაზრისით, გთუნი ჯერ-ჯერობით არ ახორციელებს ერთობლივ კვლევით პროექტებს და განვითარების ამ საფეხურზე გადასვლას გეგმავს 2019-2025 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, რისთვისაც გთუნიში არსებობს მნიშვნელოვანი წინაპირობები:

წინაპირობები:

1. ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტების- Tempus , Erasmus+ , Visegrad Foundation ბენეფიციარობა და მიღებული გამოცდილება და დამყარებული მდგრადი პარტნიორული ურთიერთობები: პადერბორნის უნივერსიტეტთან (გერმანია); ინჰოლანდის უნივერსიტეტთან (ნიდერლანდები); ვარნას თავისუფალ უნივერსიტეტთან (ბულგარეთი); ბრემენჰაფენის უნივერსიტეტთან (გერმანია); ბადენ-ვიურტენბერგის დუალური სწავლების უნივერსიტეტთან (გერმანია); კონსტანტას ოვიდიუსის სახელობის უნივერსიტეტთან (რუმინეთი); ბანსკა-ბისტრიცას მატეი ბელის უნივერსიტეტთან (სლოვაკეთი); ვენტსპილსის

უნივერსიტეტთან (ლატვია); ბირმინგემის კოლეჯთან (დიდი ბრიტანეთი), ინგოლშტატის უნივერსიტეტი (გერმანია), პეჩის უნივერსიტეტი (უნგრეთი), ალსტერის უნივერსიტეტთან (ირლანდია), წმიდა გიორგის სახელობის უნივერსიტეტთან (აშშ), EURAC, ევროპული კვლევის აკადემიასთან (ბოლცანო, იტალია), ლუბლიანას უნივერსიტეტთან (სლოვენია), რიგის ტექნიკურ უნივერსიტეტთან (ლატვია).

2. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო სტაჟირება პადრბორნის უნივერსიტეტსა (გერმანია) და EURAC Research ევროპული კვლევის აკადემიაში (ბოლცანო, იტალია).
3. საერთაშორისო ასოციაციასთან Aiest (International Association of Scientific Experts in Tourism) მჭიდრო ურთიერთობები, და ამ ასოციაციის რეგულარული წევრი აკადემიური პერსონალი.
4. რამდენიმე საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალი.
5. საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად განხორციელებული პროექტები.

განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები

1. პროექტის TEMPUS Projekt No. 543681-TEMPUS-1-2013-1-DE-TEMPUS -JPHEs – CruiseT“ „Network of competence centres for the development of cruise tourism in the Black sea region (Georgien und Ukraine) 2013-2017 ფარგლებში განხორციელდა 3 კვლევა:

- „საქართველოს საკრუიზო ტურიზმის განვითარების პრობლემები“ 2016
- „ტურიზმის ინდუსტრიის მიდგომების კვლევა საკრუიზო ტურიზმის პერსპექტივებისადმი, მათი მოთხოვნების და მიწოდების შესაძლებლობების კვლევა“ 2015
- „დამატებითი ტურისტული პროდუქტები ბათუმის ტურისტული დესტინაციისთვის“. სტუდენტური კვლევა: 2015, 2016

საერთაშორისო პარტნიორები:

- პადრბორნის უნივერსიტეტი (გერმანია); ვარნას თავისუფალ უნივერსიტეტი (ბულგარეთი); ბრემენჰაფენის უნივერსიტეტი (გერმანია); ბადენ-ვიურტენბერგის დუალური სწავლების უნივერსიტეტი (გერმანია); კონსტანტას ოვიდიუსის სახელობის უნივერსიტეტი (რუმინეთი); ბანსკა-ბისტრიცას მათეი ბელის უნივერსიტეტი (სლოვაკეთი); EURAC, ევროპული კვლევის აკადემია (ბოლცანო, იტალია).

ადგილობრივი პარტნიორები:

- კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი (თბილისი), ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (ბათუმი), ქუთაისის უნივერსიტეტი (ქუთაისი)

შედეგები:

კვლევების შედეგები წარდგენილი იყო:

- II რეგიონულ სიმპოზიუმზე: „საკრუიზო ტურიზმი-მსოფლიო გამოცდილება და მისი განვითარების პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში“, ბათუმი, სახელმწიფო საზღვაო აკადემია, 2015
- III რეგიონულ სიმპოზიუმებზე „საკრუიზო ტურიზმი-მსოფლიო გამოცდილება და მისი განვითარების პერსპექტივები შავი ზღვის რეგიონში“, თბილისი, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი 2016;

2. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (AIEST International Association of Scientific experts in Tourism 67th Annual International Conference, Tbilisi 2017).

შედეგი

კვლევა თემაზე „Business models for sustainable growth in tourism“, წარდგენილ იქნა კონფერენციის ფარგლებში ჩატარებულ მრგვალი მაგიდის ფორმატზე.

ადგილობრივი პარტნიორი:

- სულხან-საბას სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი.

დაგეგმილი ღონისძიებები:

ერთობლივი კვლევების განხორციელება იგეგმება შემდეგ პარტნიორებთან:

საერთაშორისო პარტნიორი	მიმართულება	კვლევის კონკრეტული საკითხი	საფუძველი
1. EURAC Research (იტალია)	ტურიზმი	დაზუსტდება	მემორანდუმი
2. ვენტსპილსის უნივერსიტეტი (ლატვია)	ბიზნესი, ეკონომიკა, ფინანსები	დაზუსტდება	მემორანდუმი
3. ინგოლშტატის უნივერსიტეტი (გერმანია)	ტურიზმი, ეკონომიკა	დაზუსტდება	მემორანდუმი
4. ბრნოს მენდელის უნივერსიტეტი (ჩეხეთი)	ბიზნესი, ეკონომიკა, ფინანსები	დაზუსტდება	მემორანდუმი
5. ინჰოლანდის უნივერსიტეტი	სამართალი	დაზუსტდება	მემორანდუმი